თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 22 თებერვლის სხდომის ოქმი #3

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 24, სტუდენტები – 8, სულ – 34 წევრი.

დღის წესრიგი

1. ა(ა) იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

2. თსუ ეკონომიკისა და ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

3. ძალადაკარგულად გამოცხადებული სადოქტორო პროგრამების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების კრედიტების დაანგარიშებისა და თავსებად მოქმედ აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანის შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ე. ლეკაშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის სოფიო ქუფარაშვილისთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ე. ლეკაშვილი/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიერ 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

6. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრ. პროფ. ე. ხარაბაძისთვის ი. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

7. მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. დღის წესრიგში შევიდა ცვლილებები და ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ა(ა) იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ როდესაც მიიღეს ერთიანი საუნივერსიტეტო სტრუქტურის მოწყობის მოდელი, გარკვეული შენიშვნები წარმოადგინა სამმა სამსახურმა: იურიდიულმა, სასწავლო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა. ეს შენიშვნები გასაცნობად და განსახილველად დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ფაკულტეტის საბჭოს თანხმობით დეკანმა ა. ხელაძემ წაიკითხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები (შენიშვნები) დებულების თავების, მუხლებისა და პუნქტების მიხედვით.

ესენია:
თავი I - მუხლი 1, პუნქტები 3, 7; მუხლი 3, პუნქტი 1;
თავი II - მუხლი 4, პუნქტები 1,3; მუხლი 5, პუნქტი 1;
თავი III - მუხლი 7, პუნქტი 2;
თავი IV - მუხლი 10, პუნქტები 2,3, 5, 6; მუხლი 11, პუნქტი 1- ა); ზ); თ); ი); კ); მუხლი 12, პუნქტები 1, 4, 5, 8; მუხლი 13, პუნქტები 4, 7, 8;
თავი V - მუხლი 15, პუნქტები 1, 4;
თავი VI - მუხლი 18, ა);
თავი VIII - მუხლი 20, პუნქტები 1, 4;
თავი IX - მუხლი 26, გ); ე); ზ); მუხლი 28, დ); ზ); მუხლი 30, ვ);
თავი X, მუხლი 32;

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. ე.ხარაბაძემ, ასოც. პროფ, ჩ. ჯაშმა.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - თავი VIII-ის მუხლი 21-ის მე-6 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ფუნქციონირების ორგანიზაციული საკითხების კოორდინირებას. საჭიროა გაიწეროს ვის რა ვალდებულებები აქვს.

ასოც. პროფ. ჩ. ჯაში - ორგანიზაციული საკითხების წარმართვა კათედრის გამგეს არ უნდა ევალებოდეს. რედაქციის თვალსაზრისით აუცილებელია იყოს შემდეგი: ,,სასწავლო და სამეცნიერო პროცესის კორდინირებული საქმიანობის წარმართვა კათედრის წევრებს შორის".

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების თავი VIII-ის მუხლი 21-ის მე-6 პუნქტი ჩაიწეროს შემდეგნაირად: კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციას. სამსახურეობრივი სტრუქტურული ერთეულის დებულების სახით მიღებული იქნება ცალკე დანართი, სადაც გაიწერება კათედრის ხელმძღვანელის აქტივობები.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების თავი VIII-ის მუხლი 21-ის მე-6 პუნქტი ჩაიწეროს შემდეგნაირად: კათედრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კათედრის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციას. სამსახურეობრივი სტრუქტურული ერთეულის დებულების სახით მიღებული იქნება ცალკე დანართი, სადაც გაიწერება კათედრის ხელმძღვანელის აქტივობები.

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: თავი IV, 13 მუხლის მე-7 პუნქტი დარჩეს ძველი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თავი IV, 13 მუხლის მე-7 პუნქტი ჩაიწეროს შემდეგნაირად: ,,ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი კონკრეტული კათედრიდან დადგენილი რაოდენობის შესაბამისად ხდება ფაკულტეტის საბჭს წევრი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა თანაბარი რაოდენობა. განმეორებით არჩევნებში ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს კათედრის ხელმძღვანელი" - მის ნაცვლად ჩავწეროთ - ,,გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს კათედრის ხელმძღვანელი."

სხდომის თავმჯდომარემ, ფაკულტეტის დეკანმა გააგრძელა დებულების ცვლილებების საბჭოს წევრებისათვის გაცნობა. დეკანმა საბოლოოდ კენჭი უყარა ყველა ცვლილების შეტანის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიღებული იქნას აღნიშნული ცვლილებები და შესწორებები თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ეს ინფორმაცია საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ელექტრონული ფოსტით. მან აღნიშნა, რომ რამოდენიმე პროფესორს აქვს გადმოგზავნილი კომენტარები და საბჭოს წევრებს სთხოვა გულდასმით გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტის, რადგანაც საჭიროა სრულყოფილი, არგუმენტირებული და დასაბუთებული პოზიციის დაფიქსირება. დეკანმა საბჭოს წევრებს სთხოვა დაფიქსირონ ინდივიდუალური და საერთო-საკათედრო პოზიცია წერილობით და გაუგზავნონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რათა შეჯერდეს პოზიციები.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. ხარაბაძემ, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად

მოისმინეს: ძალადაკარგულად გამოცხადებული სადოქტორო პროგრამების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების კრედიტების დაანგარიშებისა და თავსებად მოქმედ აკრედიტებულ პროგრამებზე გადაყვანის შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

დეკანმა აღნიშნა, რომ სტუდენტების კრედიტების აღიარების საკითხთან დაკავშირებით ხარისხის სამსახურის რეკომენდაციით წარმოდგენილია ორი კომენტარი. დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული კომენტარები.

ესენია:

1. *ძალადაკარგული სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული და დოქტორანტის მიერ ათვისებული სასწავლო კომპონენტების კრედიტები აკრედიტირებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტებს უღიარდეთ სრულად.*
2. *იმ შემთხვევაში, თუ ძალადაკარგული სადოქტორო პროგრამების სტუდენტს ათვისებული აქვს აკრედიტირებულ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობაზე ნაკლები, მაშინ აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს სასწავლო კომპონენტის დარჩენილი კრედიტების შესაბამისი სასწავლო აქტივობის შერჩევას აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამის საფუძველზე.*

აზრი გამოთქვეს:

სრ. პროფ. ნ. თოდუა - მე–2 კომენტარი ჩაიწეროს შემდეგნაირად: ,,...სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს სასწავლო კომპონენტის დარჩენილი კრედიტების შესაბამისი სასწავლო აქტივობის შერჩევას აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამის საფუძველზე.“

აღნიშნულ საკითხან დაკავშრებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები. აზრი გამოთქვეს სრ. პროფ. ე. ხარაბაძემ, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;
წინააღმდეგი – 1

დაადგინეს:

1. ძალადაკარგული სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული და დოქტორანტის მიერ ათვისებული სასწავლო კომპონენტის კრედიტები აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტებს უღიარეთ სრულად.
2. იმ შემთხვევაში თუ ძალადაკარგული სადოქტორო პროგრამების სტუდენტს ათვისებული აქვს აკრედიტებული სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობაზე ნაკლები, მაშინ აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს სასწავლო კომპონენტის დარჩენილი

კრედიტების შესაბამისი სასწავლო აქტივობის შერჩევას აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის საფუძველზე.

3. დადგენილების პროექტი შეთანხმდეს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან ე. ლეკაშვილთან და გადაეცეს კრედიტების აღიარების კომისიას სახელმძღვანელოდ.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის სოფიო ქუფარაშვილისთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ქალბატონმა ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან წარმოდგენილია დასკვნა მაგისტრატურის კურსდამთავრებულის სოფიო ქუფარაშვილისთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით. ს. ქუფარაშვილს შესრულებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #120/ნ ბრძანების მიხედვით დამტკიცებული კვალიფიკაციის ფორმირების წესის პირველი მუხლის შესაბამისად შესაძლებელია მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.

დანართის სახით წარმოდგენილია სრულყოფილი ინფორმაცია ს. ქუფარაშვილის მიერ პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების გავლის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ, სრ. პროფ რ.გველესიანმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს სოფიო ქუფარაშვილს მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ესს) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის გიორგი მაჭავარიანისთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ქალბატონმა ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან წარმოდგენილია დასკვნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულის გიორგი მაჭავარიანისთვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ იყო მცირეოდენი ხარვეზები საგნების დასახელებასთან დაკავშირებით. ეს ხარვეზები გასწორებულია და წარმოდგენილია მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ესს) სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გიორგი მაჭავარიანს მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს დიპლომი (ჩვეულებრივი).

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიერ 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

დეკანმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების შესახებ შემოსულია თსუ საგამოცდო ცენტრის უფროსის მ. ჩიღვინაძის 2 განცხადება და საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლების 2 სამსახურეობრივი ბარათი.

1. 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრში ძირითადი გამოცდის მსვლეობისას ადგილი ჰქონდა დარვევას - 21 იანვარს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი სანდრო ყიფიანი საგნის ,,მათემატიკა ეკონომისტებისთვის 1“ გამოცდაზე შემოსული იყო სხვა სტუდენტის გიორგი სუპატაშვილის ნაცვლად.

2. 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრში ძირითადი გამოცდის მსვლეობისას ადგილი ჰქონდა დარვევას - 28 იანვარს საგამოცდო ცენტრში ტარდებოდა გამოცდა ინგლისურ ენაში–1. გამოცდას აბარებდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი მალხაზ მანდარია. პირადობის მოწმობების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მის ნაცვლად გამოცდაზე შემოსული გახლდათ სხვა პოროვნება. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის აგრარული

უნივერსიტეტის სტუდენტი ივანე ყუფარაძე გახლდათ. სტუდენტი მოიხსნა გამოცდიდან და გაუქმნდა ნაშრომი.

3. სამსახურეობრივი ბარათი (დამკვირვებლები: ნ. ბერძენიშვილი, გ. ნაკაშიძე) - ა. წ 15 თებერვალს კომპიუტერული წესით ტარდებოდა ფინალური (დამატებითი) გამოცდა მიკროეკონომიკის პრინციპებში. სტუდენტის ვლადიმერ ნარჩემაშვილის (პ/ნ 01024088847) ნაცვლად გამოცდა ჩააბარა სხვა პიროვნებამ და მიიღო 26 ქულა. ეჭვი გაჩნდა მას შემდეგ, რაც ნიშნის გაფორმებისას პირადობის მოწმობა შემოწმდა, რასაც არ აღმოაჩნდა დამახასიათებელი დამცავი საშუალებები (ბეჭედი სურათზე), აგრეთვე პირადობის მოწმობა იყო ახალი ლამინირებული. დამკვირვებლებმა ამ პიროვნებას სთხოვეს გამოცდის დასრულებამდე (ფაქტი დაფიქსირდა 11 საათზე, გამოცდა დასრულდა 19 საათზე) წარედგინა პირადობის სხვა დამადასტურებელი მოწმობა ან ფაკულტეტის მდივნის მიერ დამოწმებული უნივერსიტეტის ბაზის ამონაწერი და განუმარტა, რომ ამის შემდეგ მოხდებოდა ნიშნის დაფიქსირება. სტუდენტი აღარ გამოცხადდა, რაც ეჭვს იწვევს, რომ გამოცდას აბარებდა სხვა პიროვნება. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელთა გადაწყვეტილებით სტუდენტ ვ. ნარჩემაშვილს ქილა გაუნულდა.

4. სამსახურეობრივი ბარათი (დამკვირვებლები: მ. ჯანჯღავა, გ. ნაკაშიძე) - ა.წ 14 თებერვალს 10:00-12:50 სთ. ტარდებოდა ფინალური (დამატებითი) გამოცდა საგანში - ინფორმატიკა ბიზნესში. 11:00 საათიან ნაკადზე სტუდენტი ვ. გრიგორიანის (პ/ნ 32001024182) ნაცვლად მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით გამოცდაზე გამოცხადდა სხვა პიროვნება (ვინაობის დადგენა ვერ შევძელით). ვიქტორ გრიგორიანს ზემოთ აღნიშნულ ფაქტის გამო გაუნულდა ქულა.

ინფორმაციები მოწოდებულია ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად შემდგომი რეაგირებისათვის.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები. სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა ა. ხელაძემ საბჭოს წევრებს სთხოვა რეაგირებისთვის შემოთავაზებები.

გაიმართა კენჭისყრა წინადადებაზე: თუ სტუდენტის მხრიდან თაღლითობის აღნიშნული ფაქტი არის პირველი შემთხვევა, მას გამოუცხადდეს საყვედური (შესაბამისი დოკუმენტი ჩაიდოს მის პირად საქმეში).

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ 2012-2013 წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდების მსვლელობისას დარღვევების შემთხვევებზე სტუდენტებს: სანდრო ყიფიანს, გიორგი სუპატაშვილს, მალხაზ მანდარიას, ვლადიმერ ნარჩემაშვილს და ვ. გრიგორიანს გამოეცხადოთ საყვედური თსუ შინაგანაწესისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის ნორმების 35 მუხლის, მე-7 პუნქტის მიხედვით, თსუ ეთიკის კოდექსის 3.4.3-ით სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევის გამო (შესაბამისი დოკუმენტი ჩაიდოს მის პირად საქმეში).

მოისმინეს: სრ. პროფესორის ე. მექვაბიშვილის წინადადება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრ. პროფ. ე. ხარაბაძისთვის ი. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

/სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, ნ. თოდუამ, რ. გველესიანმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:
1. რეკომენდაცია გაეწიოს წინადადებას თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრ. პროფ. ე. ხარაბაძისთვის ი. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ;
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული წინადადების დამტკიცება.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის და კოეფიციენტების განსაზღვრის შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი და კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგნაირად (იხ. დანართი):

1. ბიზნესის ადმინისტრირება -100;
2. ეკონომიკა - 100;
3. ეკონომიკა (ინგლისურენოვანი) - 60;
საერთაშორისო საწარმოთა მართვა - 25.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:
1. მოწონებულ იქნას თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის და კოეფიციენტების მონაცემები;
2. ეთხოვოს თსუ აკადმიურ საბჭოს აღნიშნული მონაცემების დამტკიცება.

მოისმინეს: საკითხი სამაგისტრო პროგრამაში საგნის ,,სტატისტიკა“ სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში შეტანის შესახებ

/სრ. პროფ. ქ. მარშავა/

სრ. პროფ. ქ. მარშავამ აღნიშნა, რომ უკვე 2 წელია კათედრა აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საგანი ,,სტატისტიკა“ სამაგისტრო პროგრამაში არ შედის სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში. მან აღნიშნა შემდეგი: ,,ეს საგანი ზოგიერთ მოდულში ჩაისვა, რაც მას მიმაჩნია სრულიად არასწორად. ეს ეხება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებას. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ მოდულში უნდა იკითხებოდეს ის საგნები, რომელსაც თვლის მოდულის ხელმძღვანელი. გადასწყდა, რომ 5 კრედიტად უნდა ჩაჯდეს საგანი- სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. იმსჯელეს და ამას რეგულაცია ჰქონია და 30 კრედიტზე ნაკლები არ ყოფილა. შემდგომ კოლეგები დაგვეხმარნენ, გადავხედეთ დოკუმენტებს და დარჩა ერთადერთი გამოსავალი - 10 კრედიტი არის პრაქტიკული მაგისტრანტებისთვის. ვინაიდან ჩვენი მაგისტრანტების უმეტესობა, დაახლოებით 70% მუშაობს, ამას გარდა, პრაქტიკის დაფინანსების პრობლემაც დგას და რასაც ნებაყოფლობით გვიფინანსებენ ის 30%-ზე მეტი არ არის, ამიტომ ჩვენი თხოვნა იყო დარჩეს 5 კრედიტი პრაქტიკისთვის და 5 კრედიტად ჩაჯდეს სტატისტიკური ანალიზის მეთოდები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე. გთხოვთ დაგვიჭოროთ მხარი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. ხარაბაძემ, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, დეკანმა ა. ხელაძემ.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე